“დინამო” (თბილისი) – ცდკა (მოსკოვი) 4:0 (2:0)

თბილისი. სტადიონი “დინამო”. 25 000 მაყურებელი. 8 ოქტომბერი.

მსაჯი : კ. კაპრანოვი (დონის როსტოვი).

გოლები: 1-0, პაიჭაძე (3), 2-0, მ. ბერძენიშვილი (41 პენალტით), 1-0, პაიჭაძე (59), ვ. ი. ბერძენიშვილი (62) .

“დინამო” თბ: დოროხოვი, შავგულიძე (კ), ნიკოლაიშვილი, ანიკინი, მინაევი, ჯორბენაძე, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ი. ბერძენიშვილი, სომოვი.

ცდკა: ლეონოვი, ლიასკოვსკი, სავანოვი, ზენკინი, მალინინი, შლიჩკოვი, მიტრონოვი, რიაზანცევი, ზაგრეცკი, შეველიოვი, ისაევი.

დაამატა: ერლან მანაშევმა.
http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1936a&cl=8

ოთხი ბურთი - “ც. დ. კ. ა.”-ს ბადეში

8 ოქტომბერი, 4 ნახ. საათი. არაჩვეულებრივად მღელვარეა “დინამოს” სტადიონი. ფეხბურთის მრავალათასიანი მაყურებელი მოუთმენლად ელის შეჯიბრების დაწყებას მოსკოვის “ც.დ.კ.ა”-ს (წითელარმიელთა ცენტრალური სახლი) და ტფილისის “დინამოს” გუნდებს შორის.

და ეს შემთხვევითი როდია! მოსკოვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ეს კოლექტივი, ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივათ ითვლება ჩვენს ქვეყანაში. დღევანდელი თამაშის განსაკუთრებული ინტერესი ნათელი შეიქმნება თუ მოვიგონებთ, რომ ტფ. “დინამოს” თითქმის 7 წელიწადია რაც არ უთამაშნია მოსკოვის “წითელარმიელთა ცენტრ. სახლის” გუნდთან, და რაც მთავარია, მოვიგონებთ მის წარმატებებს - მოსკოვის “სპარტაკთან” და “ლოკომოტივთან”.

4 საათი და 50 წუთი. თამაშის მსაჯი ამხ. კაბლიკოვი მოედანზეა. ისმის მსაჯის სასტვენის პირველი ხმა. მოედანზე გამორბიან სტუმრები - “ც.დ.კ.ა”-ს ფეხბურთელები. მათ ლურჯი ფორმა აცვიათ. მაყურებლები მქუხარე ტაშით ხვდებიან მოსკოველებს. კიდევ სასტვენის ხმა... და მოედანზე დგას ტფილისის “დინამო”. გუნდის კაპიტანი ამხ. შავგულიძე ყვავილების დიდ თაიგულს ულოცავს “ც.დ.კ.ა”-ს გუნდის კაპიტანს ამხ. ზენკინს.

ფეხბურთელები იკავებენ თავთავიანთ ადგილებს.

“ც.დ.კ.ა”-ს კარებში დგას - ლეონოვი, კარებს იცავენ: ლიასკოვი და ზავანოვი. შემდეგ: ზენკინი, მალინინი და შლიჩკოვი (ნახევარ-მცველები). გუნდის თავდამსხმელებია: მიტრონოვი, რიაზანცევი, ზაგრეცკი, შჩაველევი და ისაევი.

ტფილისის “დინამოს” კარებში დგას მეკარე - დოროხოვი, მცველები: შავგულიძე და ნიკოლაიშვილი. ნახევარ-მცველები: ანიკინი, მინაევი და ჯორბენაძე. თავდამსხმელები: პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი და სომოვი.

5 საათია. მსაჯი ამხ. კაპლიკოვი იძლევა თამაშის დაწყების ნიშანს. “დინამოს” თავდამსხმელთა ცენტრი - პაიჭაძე აკეთებს პირველ დარტყმას. ბურთი თამაშშია.

მოსკოველები თავდასხმას ანვითარებენ და უკვე მეორე წუთზე ტფ. “დინამო” შემთხვევით გადარჩა პირველ დამარცხებისაგან. ეს მოხდა ასე: ბურთი “დინამოს” საჯარიმო მოედანზე ტრიალებს, მოსკოველი თავდამსხმელები მშვენიერ კომბინაციებს მიმართავენ, მეკარე დოროხოვი გარეთ გამორბის ბურთის ასაღებად. კარები, ცარიელია, მოსკოველი არტყამს ბურთს “დინამოს” კარებისაკენ, მაგრამ მცველი - შავგულიძე თავის ადგილზეა, იღებს ფეხით ბურთს და აგზავნის მას შუა მოედანზე.

მდგომარეობა იცვლება. მესამე წუთზე “დინამო” შეტევაზეა. თავდამსხმელებს პანინს, მ. ბერძენიშვილს და პაიჭაძეს შესანიშნავი ოსტატობით მიაქვთ ბურთი “მოწინააღმდეგეთა”კარებისაკენ. აი მიუახლოვდნენ კიდეც კარებს და პაიჭაძის მიერ მოხდენილათ დარტყმული ბურთი ეხვევა “ც.დ.კ.ს”-ს ბადეში.

თამაშის ტემპი ცხოველდება. მოსკოველები თითქმის იშვიათად უახლოვდებიან ტფილისის კარებს. თამაში უმთავრესად მოედნის ცენტრში და მოსკოველების მხარეზე სწარმოებს. “დინამოს თავდამსხმელები ხშირად “აწუხებენ” მოსკოვის მეკარეს - ლეონოვს, რომელმაც რამდენიმე მშვენიერი ბურთი აიღო. ტფილისელთა ერთ-ერთი თავდასხმის დროს მოსკოველი ნახევარმცველი უხეშად უხვდება პაიჭაძეს, რომელსაც ის კი იყო ბურთი უნდა დაერტყა მოსკოვის კარებში. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. ბურთი საჯარიმო წერტილში ძევს. მოთამაშეები გარს შემოხვევიან მას. მეკარე ლეონოვი გაფაციცებით ელის ბურთს. მაგრამ “პენალტის” ოსტატი მ. ბერძენიშვილი მოხდენილი დარტყმით მეორე ბურთს ახვევს მოსკოვის ბადეში.

ამრიგად, მე-20 წუთზე მოსკოველებს უკვე ორი დამარცხება აქვთ.

“ც.დ.კ.ა.”-ს თავდამსხმელების ყოველ შემოტევას კარგათ იგერიებენ ტფილისის მცველები. ამ მხრივ გამოირჩევიან: შავგულიძე და ჯორბენაძე. მაგრამ აი 35-ე წუთზე მსაჯი კაპლიკოვი “დინამოს” მოთამაშის მიერ ბურთზე ხელით შეხებისათვის ნიშნავს “პენალტს” - საჯარიმო დარტყმას. ყველა დარწმუნებულია, რომ ახლა კი “დინამო” თავის კარებში პირველ გოლს მიიღებს... მაგრამ მოსკოველები ვერც ამ საჯარიმო დარტყმას იყენებენ. ბურთი მოხვდა კარებს.

პირველი განყოფილება მთავრდება ტფ. “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით - 2:0.

მეორე გან;ყფილებაში უფრო აშკარა შეიქმნა ტფილისელთა უპირატესობა. მე-14 წუთზე მეტად ძლიერი დარტყმით პაიჭაძე ანგარიშს სცვლის კიდევ ერთი “გოლით”. ხოლო მე-20 წუთზე “კორნელიდან” მოწოდებულ ბურთს ვლ. ბერძენიშვილი მოეთხედ გზავნის “მოწინაარმდეგეთა” ბადეში.

მოსკოველი ზოგიერთი მოთამაშე მეტად უხეშათ თამაშობს. მსაჯი იძულებულია უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევოს “ც.დ.კ.ა”-ს მარცხენა გარემარბი - ისაევი.

6 საათი და 40 წუთია. მსაჯი იძლევა თამაშის დამთავრების ნიშანს. და ეს თამაშიც, საბჭოთა კავშირის პირველობაზე, კვლავ ტფ. “დინამოს” ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდება (4:0).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მსაჯის - კაპლიკოვის განსაკუთრებული დამსახურება თამაშის სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

დ. გ-ლი.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 11 ოქტომბერი, 1936 წ.